სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

07630807241113

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N130180834

რეგისტრაციის თარიღი

27.02.2013 წ

ნოტარიუსი: ნუნუ კალანდარიშვილი
მისამართი: ქ.თბილისი,მტკვრის ქუჩა №6
ტელეფონი: 2931887

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

ორიათას ცამეტი წლის ოცდაშვიდ თებერვალს, მე, ნუნუ კალანდარიშვილს, საქართველოს ნოტარიუს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, მტკვრის ქუჩა №6, მომმართა შ.პ.ს "შაკო"-ს დირექტორმა ბ-ნმა გია პაპიძემ (თანახმად ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, მომზადებული 26.03.2012წ. 14:02:13 საიდენტიფიკაციო კოდი: 202906551) რომელმაც მოითხოვა მინდობილობის ტექსტის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად ბ-ნმა გია პაპიძე (დაბ. 18.10.1969წ. თბილისში, რეგ. მის. თბილისი, მ.ბურძგლას ქ. N 4, პ/№01024023652) მომმართა. მე, შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა, უფლებამოსილება და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში და უფლებამოსილებაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს. მე, აგრეთვე დავადგინე ის გარემოება, რომ ბ-ნი გია პაპიძე მოქმედებს შპს "შაკო"-ს დირექტორის სახელით შემდეგ მას განვუმარტე მინდობილობაზე ხელის მოწერის სამართლებრივი შედეგები, შევადგინე მინდობილობის ტექსტი, რომელიც წაიკითხა ბ-ნმა გია პაპიძემ და განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებასა და სურვილს და ნოტარიუსის თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი ქვემოაღნიშნულ მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, გია პაპიძემ, როგორც შ.პ.ს "შაკო"-ს დირექტორმა ამ მინდობილობით ბ-ნ დანიელი სარაჯიშვილს (დაბ. 09.09.1944წ. თბილისში, რეგ. მის. თბილისი, ოქროყანის ქ. N 7/2, პ/№01017038873)

მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება:

1. ბ-ნი დანიელი სარაჯიშვილი უფლებამოსილია იყოს ჩემი წარმომადგენელი ყველა სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციასა და დაწესებულებაში, მათ შორის მერიის ზედამხედველობის სამსახურში, სსიპ არქიტექტურის სამსახურში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებში, ჩემი სახელით აწარმოოს მოლაპარაკებები და მიიღოს გადაწყვეტილებები, რაც დაკავშირებული იქნება შპს "შაკო"-ს უძრავი ქონების ინტერესებიდან გამომდინარე, რომლებიც მდებარეობენ ხოშარაულის ქუჩაზე გამომცემლობა „სამშობლოს" მოპირდაპირე მხარეს და თევდორე მღვდლის ქუჩაზე. (ბაზრობა „ბიზნესის" ყრუ კედელთან) (ზონა თბილისი, სექტორი დიდუბე) ასევე დანიელი სარაჯიშვილი უფლებამოსილია გამოჯნოს აღნიშნულ მისამართებზე უძრავი ქონება და დაარეგისტრიროს საჯარო რეესტრის ეროვნულ საგენტოში. გადაიხადოს ყველა საჭირო გადასახადი და მოსაკრებელი, ხელი მოაწეროს შესაბამის დოკუმენტაციას და შესრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია ზემოთაღნიშნული დავალების განხორციელებისათვის.

2. მინდობილობა შედგენილია და ხელმოწერილია ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი რჩება ნოტარიუსის ნ.კალანდარიშვილის სანოტარო ბიუროს არქივში, სამი – გადაეცა ბ-ნ გია პაპიძეს.

3. აღნიშნული მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით და ძალაში 2014 წლის 27 თებერვლის ჩათვლით.

ხელმოწერა: ---გია პაპიძე---

გადახდილია საზღაური 13.80 (ცამეტი) ლარი და (ოთხმოცი) თეთრი თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ" საქართველოს მთავრობის №507-ე დადგენილების 31-ე და 39-ე მუხლების და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის საფუძველზე (2011წ. 29 დეკემბერი).

საქართველოს ნოტარიუსი ნუნუ კალანდარიშვილი

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი
26461150954213

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N130228565

რეგისტრაციის თარიღი

12.03.2013 წ

ნოტარიუსი: ნინო თოფურია
მისამართი: ქ. თბილისი დ. აღმაშენებლის გამზ. 179-ა, ბინა 15 (პირველი სართული)
ტელეფონი: 2348157

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

ორი ათას ცამეტი წლის თორმეტ მარტს მე, ნოტარიუს ნინო თოფურიას, ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №179ა, ბინა 15 (პირველი სართული) მომმართა *შპს "ბიზნესი"-ს* (იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის დიდუბის რაიონში, ცაბაძის ქ. 19, საიდენტიფიკაციო კოდი: 201943040, სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 26/12/1995, სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი: 2/4-301, მარეგისტრირებელი ორგანო: დიდუბის სასამართლო) დირექტორმა – *ნიკოლოზ საღარაძემ* (დაბ. თბილისში 05.06.1968წ. მისამართი: თბილისი, პ. იოსელიანის ქ. 37, ბ. 10, პ/მ №დ 1184606, პირადი №01026003768, გაც. 04.07.2008წ. სრს საბურთალოს სამსახურის მიერ), რომლის უფლებამოსილება დგინდება ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (განაცხადის ნომერი: 520765, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B 12097101, ამონაწერის მომზადების თარიღი: 20/08/2012, 15:13:14), განმიცხადა, რომ სურს მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება.

მე დავადგინე მიმნდობის პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე, შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა, უფლებამოსილება და ნების გამოვლენის ნამდვილობა, რაშიც ეჭვი არ შემპარვია. მიმნდობს განვუმარტე, რომ მას უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა, რის შესახებაც უნდა აცნობოს რწმუნებულს. ამ განმარტების შემდეგ, შევადგინე წინამდებარე მინდობილობის პროექტი, რომელიც წავუკითხე მას. მიმნდობმა თავადაც წაიკითხა იგი, ნათლად, მკაფიოდ განაცხადა, რომ მინდობილობა სრულად გამოხატავს მის ნებას და ჩემი – ნოტარიუსის თანდასწრებით ხელი მოაწერა მას.



მინდობილობა

ორი ათას ცამეტი წლის თორმეტ მარტს

მე – *ნიკოლოზ საღარაძე* (დაბ. თბილისში 05.06.1968წ. მისამართი: თბილისი, პ. იოსელიანის ქ. 37, ბ. 10, პ/მ №დ 1184606, პირადი №01026003768, გაც. 04.07.2008წ. სრს საბურთალოს სამსახურის მიერ), *როგორც შპს "ბიზნესი"-ს* (იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის დიდუბის რაიონში, ცაბაძის ქ. 19, საიდენტიფიკაციო კოდი: 201943040, სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 26/12/1995, სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი: 2/4-301, მარეგისტრირებელი ორგანო: დიდუბის სასამართლო) *დირექტორი, რომლის უფლებამოსილება დგინდება ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან* (განაცხადის ნომერი: 520765, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B 12097101, ამონაწერის მომზადების თარიღი: 20/08/2012, 15:13:14), უფლებას ვაძლევ *დანიელი სარაჯიშვილს* (დაბ. თბილისში 09.09.1944წ. მისამართი: თბილისი, ოქროყანის ქ. 7-2, პ/მ №а 1024559, პირადი №01017038873, გაც. 05.12.2006წ. სრს მთაწმინდა-კრწანისის სამსახურის მიერ),

იყოს ჩემი, როგორც შპს "ბიზნესი"-ს დირექტორის წარმომადგენელი ყველა სახელმწიფო, კერძო ორგანიზაციასა და დაწესებულებაში, მათ შორის: ქ. თბილისის საკრებულოში, ქ. თბილისის მერიაში, სსიპ არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურში, მიწის ლეგალიზაციის კომისიაზე, სსიპ ქონების მართვის სააგენტოში, მერიის არქივში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებში, შეაგროვოს, წარადგინოს ან/და მიიღოს ნებისმიერი საბუთი, ცნობა, დუბლიკატი, მოწმობა, ინფორმაცია, აწარმოოს მოლაპარაკებები და მიიღოს გადაწყვეტილებები რაც დაკავშირებული იქნება ქ. თბილისში, ცაბაძის ქ. №19-ში მდებარე შპს "ბიზნესი"-ს უძრავი ქონების ინტერესებიდან გამომდინარე (გარდა უძრავი ქონების გასხვისების, იპოთეკით დატვირთვის და სხვა სამართლებრივი მოქმედებებისა), მოაწეროს ხელი შესაბამის საბუთებს;

ასევე, დანიელი სარაჯიშვილი უფლებამოსილია გამიჯნოს ზემოაღნიშნულ მისამართზე მდებარე უძრავი ქონება და დაარეგისტრიროს იგი საჯარო რეესტრის

ნიკოლოზ საღარაძე

ეროვნულ სააგენტოში, გადაიხადოს კანონით გათვალისწინებული ყველა საჭირო გადასახადი და მოსაკრებელი, მოაწეროს ხელი და შეასრულოს ყველა ის მოქმედება და ფორმალობა, რაც პირდაპირ მითითებული არ არის წინამდებარე მინდობილობაში, მაგრამ აუცილებელია ზემოაღნიშნული დავალებების შესასრულებლად.

მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით და ძალაშია ორი ათას თოთხმეტი წლის თორმეტი მარტის ჩათვლით.

სანოტარო მომსახურებისათვის გადახდილია საზღაური, თანახმად "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ" 29.12.2011წ. საქართველოს მთავრობის №507 დადგენილების 31-ე მუხლისა, 10 (ათი) ლარი და 39-ე მუხლისა "ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციისათვის", დღგ-ს ჩათვლით, 2 (ორი) ლარი. სულ გადახდილია 12 (თორმეტი) ლარი.

აღნიშნული მინდობილობა შედგენილია ოთხ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ნინო თოფურიას სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი მიეცა მიმნდობს ხელზე.

მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც რჩება ნოტარიუს ნ. თოფურიას სანოტარო არქივში, დანრთის სახით თან ერთვის 1 დოკუმენტი:

– ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (განაცხადის ნომერი: 520765, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B 12097101, ამონაწერის მომზადების თარიღი: 20/08/2012, 15:13:14).

(შპს "ბიზნესი"-ს წესდება დანართის სახით ინახება 20.05.2011წ. ჩემს – ნოტარიუს ნ. თოფურიას მიერ დამოწ. №110507527 მინდობილობაში.)

წავიკითხე და ვეთანხმები [illegible] [illegible]


GEORGIA. NOTARY
01006008132